


# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბინგ ბეჭდუ-  
რები სიფყვას, ცეცილებით და ჭიბბით ბუბ-  
რის გაფანა ყველა უჯანდისბაჭე უსამაგლესია.

შაბათი, 9 დეკემბერი. 2017 წ. №249-250 (8386-8387), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ღასი 50 თატირი.

## ლაპროვი ტილერსონს, ეუთოს და საქართველოს „პოლიტიკურად“ ამასხარაპებს!



„რუსეთი პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ისევე როგორც ახალი რესპუბლიკების – სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას“, – ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ვენაში გამართულ პრესკონფერენციაზე „საზოგადოებრივის“ ურნალისტის შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა – „როდის აპირებს რუსეთი, აღიაროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და შეწყვიტოს საქართველოს რეგიონების ოკუპაცია?“

მან ასევე შეაფასა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის განცხადება, სადაც რექს ტილერსონი ამბობს, რომ საქართველოში, მოლდოვასა და ყარაბაღში კონფლიქტი უნდა დასრულდეს. მისი თქმით, ეუთო მუნდა დაგმოს რუსეთის ძალისხმევა, ხელი შეუშალოს ეუთოს წვდომას საქართველოს რეგიონებში, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში.

– დიდი მადლობა თქვენ განცხადებისთვის. მე ტილერსონზე არაფერი შემიძლია ვთქვა. ტილერსონმა დაგმობისკენ მოუწოდა არა რუსეთს, არამედ თქვენ, ასე რომ შეგიძლიათ, დაგმოთ. ტილერსონმა დაგმო რუსეთის ქმედებები და სხვებსაც იმავსკენ მოუწოდა, ჰოდა დაგმეთ. რაც შეეხება ტერიტორიულ მთლიანობას, ჩვენ პატივს ვცემთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ისევე როგორც ორი ახალი დამოუკიდებელი რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიულ მთლიანობას...

## 10 დეკემბერი საქართველოს მეგზვეთა დღეა! ბერკეტი ქვეყნის წინსვლისა და ქლიერებისა...

50 წელია, რაც საქართველოს მეგზვეები ყოველწლიურად იკრიბებიან და აღნიშნავენ თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს და ერთმანეთს უზიარებენ მოსაზრებებს საჭირო როტო საკითხებზე.

საავტომობილო გზები და მათზე განლაგებული ხელოვნური ნაგებობები (გვირაბები, ხიდები, ესტაკადები, გზაგამტარები და სხვა) წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბერკეტს ქვეყნის წინსვლისა და ეკონომიკური ძლიერების საქმეში.

საქართველოს მეგზვეთა საზოგადოება გულთბილად მიესალმება ყველა მეგზვეს და იმ სპეციალისტს, ვინც თავისი საქმიანობით მჭიდროდ არის დაკავშირებული საავტომობილო გზების კვლევის, პროექტირების, მშენებლობის, ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის სამუშაოებთან.

დიდი პატივისცემით საქართველოს მეგზვეთა საზოგადოების თავმჯდომარე თამაზ შილაკაძე

## ვინ არიან ნაკომქადაგებლები?

ჩანს, მალე 5 „წიფვის ბარხერას“ დასაშვები ბახდება...



## მოსწავლეს ელექტროშოკის აპარატი აღმოაჩნდა!

რუსთაველი, მე-18 სკოლაში, მე-10 კლასის მოსწავლეს ელექტროშოკის აპარატი აღმოაჩნდა, რის გამოც, სკოლის მანდატურმა საპატრულო პოლიცია გამოიძახა. როგორც რუსთაველის საგანმანათლებლო რესურსცენტრში აცხადებენ, გონივრული ეჭვის შემთხვევაში, სკოლის მანდატური მოსწავლეებს უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით სხვა დროსაც ამოწმებს. მომხდარზე სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

### ურთიერთდაპირისპირება რუსთაველი

რუსთაველის 22-ე საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებს შორის დაპირისპირების შედეგად ერთი მოსწავლე დაშავდა. ის საავადმყოფოშია გადაყვანილი. როგორც სკოლის დირექტორი აცხადებს, მოსწავლეები ერთმანეთს საკლასო ოთახში დაუპირისპირდნენ. მომხდარის გამო საპატრულო პოლიცია სკოლის მანდატურმა გამოიძახა.




## ტრამპმა მსოფლიოს ახალი „ბანხეთქილები პაული“ გადაუბღო!

საქართველო 3 იარუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარებასთან დაკავშირებით თავი უნდა შეიკავოს

## რა შედეგია ზღაპარს?

გურამ პეტრიაშვილი:

აღმოცხადებული  
7 პეტრები



## გვეშველება რაბი?! არა, ვიღუპებით!

4 ეს ქვეყნის  
დალატია!



# კახა კალაძე „საპარტიოლოს აკადემიის“ თვითმმართველობის პრეზიდენტი და პარტიის მდივანი

„საპარტიოლოს აკადემიის“ თვითმმართველობის პრეზიდენტი და პარტიის მდივანი კახა კალაძე აირჩიეს. ახლადარჩეული პრეზიდენტი ასოციაციას მომდევნო სამი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს.

კახა კალაძემ ღონისძიებაზე შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა და მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

„პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო ყველა დელეგატს, ვინც მხარი დამიჭირა. ძალიან საპასუხისმგებლოა, იყო თვითმმართველობის ასოციაციის პრეზიდენტი. ჩვენ მნიშვნელოვანი რეფორმები განვახორციელებთ 2014 წლიდან მოყოლებული, თუმცა გამოწვევად ინტენსიური მუშაობა მოგვიწევს. უნდა უზრუნველყოთ მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რისთვისაც უნდა შეიქმნას შესაბამისი პლატფორმა და მექანიზმები. ძლიერი თვითმმართველობა და დეცენტრალიზაცია ქვეყნის გაძლიერებისა და წინსვლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ერთად უნდა განვახორციელოთ არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა. მზად ვარ ამ მიმართულებით აქტიური თანამშრომლობისთვის“, – განაცხადა კახა კალაძემ.

ეროვნულ ასამბლეაზე დელეგატებმა, ახლადარჩეულმა მერმა და საკრებულოს წევრებმა საქართველოს ყველა თვითმმართველი ერთეულიდან ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრები აირჩიეს. თბილისიდან საბჭოს წევრებად საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყეშელაშვილი და საკრებულოს წევრები –



თამარ ტალიაშვილი და ირაკლი ნადირაძე აირჩიეს. სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გამართულ ღონისძიებას თბილისის მერი საქართველოში ევროკავშირის ელჩთან იანოშ ჰერმანთან ერთად დაესწრო.

## პოლიტიკური უსაფრთხოების გეგმა მოქალაქეები არ უნდა აპირიყოს!

„ჩვენ საბოლოოდ უნდა დავანგრეთ ის სტრეგეტიკა, რომ გარკვეული პოლიტიკური შეხედულების გამო ხდებოდა მომღერლების არჩევა, ან არ მოწვევდა საახალწლო კონცერტებზე. ეს ჩემთვის არის მიუღებელი და გპირდებით, რომ ნელს თქვენთვის ძალიან ბევრი საყვარელი მომღერალი იმღერებს“ – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა ცოტა ხნის წინ გამართულ ბრიფინგში განაცხადა.

გზე განაცხადა. კახა კალაძემ თბილისში, საახალწლო ღონისძიებებთან დაკავშირებით მედიასა და საზოგადოებას ინფორმაცია მიანიჭა. კალაძის განცხადებით, მთავარი საახალწლო ნაძვის ხე თბილისში და ნათებები 15 დეკემბრიდან ჩაირთვება. მისივე თქმით, ნელს ღონისძიებების ძირითადი ლოკაცია გარეუბნები – გლდანი, სამგორი და ძველი თბილისი იქნება. ასევე საახალწლო სოფელი მოეწყობა დედაენის ბაღში.

რაც შეეხება მუნიციპალურ ტრანსპორტს, კახა კალაძის განცხადებით, როგორც წინა წლებში, მეტროს ნელსაც მთელი ღამის განმავლობაში მოემსახურება მოქალაქეებს, ხოლო ავტობუსების განრიგი მოგვიანებით გახდება ცნობილი.

## მარბინალები მართლა არ არიან საინტერესოები!

საპარტიოლოს დეპუტატის, „ემ“-ს წევრის ლევან ხაბეიშვილის სარჩელს, რომელიც მან პროკურატურაში შეიტანა, თბილისის მერი ესმაურბა და ჟურნალისტების კითხვის პასუხად აცხადებს, რომ მარბინალები არ არიან საინტერესოები.

ხაბეიშვილმა პროკურატურას თბილისში, საახალწლო განათებებთან დაკავშირებით მოკვლევის დანაშაულის მოთხოვნით მიმართა. დეპუტატი იტალიურ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებაში დანაშაულის ნიშნებს ხედავს. მისი თქმით, ყოფილ მერს დავით ნარმანიას მიღებულ კონტრაქტები არა აქვს შესაბამისად, სავარაუდოდ, ის ხელშეკრულებას ვერ გააფორმებდა.

„თუ საშუალება გვაქვს და განათებაში ვისდით სამილიონს, მინიმუმ ორჯერ მეტს, რაც ოდესმე გადავიხდებოდა, რატომ არა აქვს ბიუჯეტს იმის საშუალება, რომ 1,8 ლარის ნაცვლად სოციალურად დაუცველები გამოკვებონ, მაგალითად 2,5 ლარად?“, – ამის შესახებ „პალიტიკური უსაფრთხოების“ დედაქალაქის „360 გრადუსში“ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა.

## საკანონმდებლო ცვლილებები პარლამენტის მხარე მოსახლეობის დახმარებით

მთავრობის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები მზებით მიიღეს.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, რამდენიმე სამინისტრო ერთიანდება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ახალგაზრდობის კომპონენტი უერთდება, ხოლო სპორტის ნაწილი კულტურის სამინისტროს ფარგლებში გადადის. გარემოს დაცვის სამინისტრო სოფლის მეურნეობის სამინისტროს უერთდება. ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროში ენერჯეტიკის სამინისტრო ერთიანდება. ასევე ეკონომიკის სამინისტროში შედის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბუნებრივი რესურსების კომპონენტი. ცვლილებებით უამრავი უსაფრთხოებისა და კარგისთვის მართვის საშუალება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური შეიქმნება. დღის წესრიგიდან მოიხსნა დაზვერვისა და უსაფრთხოების სამსახურების გაერთიანების ინიციატივა.

## „პოლიტიკური საკულასიის ტირაჟირება“... უკრაინის „შიდა პოლიტიკური საქმე“



უკრაინაში ქართველი ჟურნალისტების „რუსთავი-2“-ის, ტვ „პირველის“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის კორესპონდენტების არ შეშვებაზე კომენტარს „რია ნოვოსტისთან“ ინტერვიუში აკეთებს უკრაინის საზღვრის დაცვის სამსახურის წარმომადგენელი ოლეგ სლობოდანი.

„ქართული მედიის“ სხვადასხვა წარმომადგენლებს უარი ეთქვათ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე. მიზეზი კი ის გახდა, რომ მათ ვერ განმარტეს უკრაინაში მოგზაურობის მიზანი. მათ განაცხადეს, რომ ისინი მოდიოდნენ დიასპორის საკითხების გასაშუქებლად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამაზე საუბარი საერთოდ არ არის, – აცხადებს სლობოდანი. მისივე თქმით, ჟურნალისტებთან დეტალური საუბრისას აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი ჟურნალისტი, რომელსაც კავშირი აქვს რაღაც ტელეარხთან „ანტი-უკრაინულ“ კონტენტში აშუქებდა დომბასში მიმდინარე მოვლენებს. სლობოდანს ჟურნალისტი არ დაუპოვებია.

ჟურნალისტების არ შეშვებაზე კომენტარი საქარ-

თველოს ელჩმა უკრაინაში გელა დუმბაძემ გააკეთა. დუმბაძემ აცხადებს, რომ მან არ იცის დეტალები, რატომ არ მისცა უფლება უკრაინაში საქართველოს მოქალაქე ჟურნალისტებს, უკრაინაში შესულიყვნენ. მისი თქმით, ქვეყანას აქვს უფლება, დაუშვას ან არ დაუშვას სხვა ქვეყნის მოქალაქეთა შესვლა მის ტერიტორიაზე.


„არსებობს ხაზი, რომელიც ერთიანად ეხება საქართველოსაც, გერმანიასაც და იტალიის საელჩოებსაც, ეს არის „ქვეყნის შიდა საქმეები“. როცა უსაფრთხოებას ეხება საქმე იქ მიზეზები არ არის განმარტებული. უკრაინას ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, არ სურს, კიდევ უფრო ფართოდ მოხდეს პოლიტიკური სპეკულაციის ტირაჟირება, ამიტომაც გარკვეული პერიოდის შესაბამის რეჟიმს იყენებს. დარწმუნებული ვარ, გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს რეჟიმი აღარ იმოქმედებს, ეს არის ქვეყნის სუვერენული უფლება, რომელსაც პატივს ვცემთ.“

ეს არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ტელეკომპანიებთან ეს დამოკიდებულია ზოგადად არსებულ სიტუაციაზე. უკრაინამ გადაწყვიტა, რომ არ გააფართოვოს ამ მოვლენების გაშუქების დაიპაზრონი და ატარებს შესაბამის შიდა პოლიტიკას“, – აცხადებს დუმბაძე.

## 1 იანვრიდან 2006 წლის 1 აპრილამდე გასაქმებულ მართვის მონომობებს დაკარგულის აღდგენის შემთხვევაში კი – 35 ლარი.


შიდახან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო განცხადებით, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან იურიდიული ძალა ეკარგება საქართველოში 2006 წლის 1 აპრილამდე გასაქმებულ მართვის მონომობებს. აღნიშნული ცვლილება არ ეხება მართვის მონომობის თანამედროვე სტანდარტების პლასტიკურ ბარათებს. მართვის მონომობის შეცვლა შესაძლებელია მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ ფილიალში. მონომობის შესაცვლელად მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს: ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა, პირადობის დამადასტურებელი მონომობა და არსებული მართვის მონომობა. მართვის მონომობის შეცვლის ღირებულება 15 ლარია, დაკარგულის აღდგენის შემთხვევაში კი – 35 ლარი.

ასევე, განვმარტავთ, რომ მართვის მონომობებს, რომლებიც აღებულია 2006 წლამდე, თუმცა განახლებულია 2006 წლის შემდეგ, იურიდიული ძალა უნარჩუნდება და მათი შეცვლა საჭირო არ არის. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქემ 2018 წლის 1 იანვრამდე ვერ შეცვალა მართვის მონომობა, დოკუმენტი ავტომატურად ჩაითვლება ძალადაკარგულად. მოქალაქე ავტომატურად მართვას შეძლებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მართვის მონომობას შეცვლის.



## პარლამენტი 2017 წელს ახალი „სელანგის“ შესაქმნად 855 000 ლარს დახარჯავს

საპარტიოლოს პარლამენტის აპარატმა თანამდებობის პირებისთვის 2017 წელს გამოშვებული 19 ერთეული ავტომანქანა „სელანგის“ შესყიდვის მიზნით



ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა. ავტომანქანების შესაქმნად ბიუჯეტიდან 855 000 ლარია გამოყოფილი. ტენდერში მონაწილეობის მსურველთა წინადადებების წარდგენა 15 დეკემბერს დაიწყება და 18 დეკემბერს, 12:00 საათზე დასრულდება.


„reginfo“-ს ინფორმაციით, თითოეული ავტომანქანის ღირებულება საშუალოდ 45 000 ლარს შეადგენს. მათი შემსყიდველისათვის მიწოდება ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ხელშეკრულების დადებიდან 120 კალენდარული დღის ვადაში უნდა მოახდინოს. სატენდერო დოკუმენტების მიხედვით, ყველა ავტომანქანა უნდა იყოს არაუადრეს 2017 წელს გამოშვებული, ვერცხლისფერი, მარცხენასაჭიანი და შავი ფერის სალონით.

## მიხეილ გომიკაძე: შეშინებულები იქნება!

კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გომიკაძე ვარაუდობს, რომ რეორგანიზაცია-ოპტიმიზაციის შედეგად კულტურის და სპორტის გაერთიანებული სამინისტროში კადრები შემცირდება.



„ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია. ვფიქრობ, რომ ჩვენს სამინისტროს ამ ნაწილში 3 თვე არ დასჭირდება და ჩვენ ამ გეგმის წარსადგენად მზად იქნებით ბევრად უფრო ადრე. თუმცა კონკრეტულ ციფრებს მაშინ მოგახსენებთ, როცა ეს გეგმა ჩამოყალიბებული იქნება. წინასწარ შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ მაქსიმალურად ვინარჩუნებთ დარგობრივ მიმართულებას, სპორტს და კულტურას. ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში იქნება გარკვეული ოპტიმიზაცია და შემცირებები. კადრების შემცირებას ვვარაუდობთ, თუმცა ეს შემცირება შეეხება ადმინისტრაციულ ნაწილს, ვინაიდან დარგობრივ ნაწილში სრულად ვინარჩუნებთ კადრებს, რომლებიც მალაღობროვნად ვინარჩუნებთ არიან და ჩვენ არც ერთი პროფესიონალის დაკარგვა არ გვინდა“, – განაცხადა გომიკაძემ.



ამერიკის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის განცხადებას, რომ იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქია, თურქეთის პრეზიდენტის რეჯეპ ტაიპ ერდოღანის უარყოფითი პოზიცია მოჰყვა.

# ტრამპმა მსოფლიოს ახალი „ბანხითქილების პაუზი“ გადაუგდო!



## საქართველომ იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარებასთან დაკავშირებით თავი უნდა შეიკავოს

— ამერიკამ იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად აღიარა, რასაც თურქეთის პრეზიდენტის ერდოღანის კრიტიკული რეაქცია მოჰყვა. როგორ ფიქრობთ, ისედაც დაძაბულ რეგიონში რა პროცესები შეიძლება განვითარდეს?

— საზოგადოებისთვის იერუსალიმის პრობლემა ცნობილია, შესაბამისად, ამერიკის ეს პოზიცია რეგიონში სიტუაციას კიდევ უფრო დაამძიმებს. ისრაელისა და პალესტინის მუსლიმ მოსახლეობას შორის არსებულ კონფლიქტს უფრო გამწვავებს, ამიტომაც წლების განმავლობაში მკვეთრი გადანაცვლებებისგან თავს ყველა იკავებდა. საერთაშორისო საზოგადოება ყოველთვის ცდილობდა, რომ ამ საკითხზე ორივე დაპირისპირებულ მხარეს შორის კომპრომისი ეპოვა.

განცხადებას არა მხოლოდ ერდოღანის მწვავე რეაქცია, არამედ, მთელი მუსულმანური სამყაროს რეაქცია მოჰყვა. პრაქტიკულად ყველა მუსლიმურ სახელმწიფოს არაერთხელ განუცხადებია, რომ ამგვარი გადანაცვლება მათთვის მიუღებელი იქნება. ამიტომ სიტუაციის გამწვავება და დაძაბვა ნამდვილად მოსალოდნელია. თუმცა ამ კონფლიქტმა რა სახის განვითარება შეიძლება პოვოს, რთული სათქმელია. ეს დასავლეთის რეაქციასაც იქნება დამოკიდებული.

— ერდოღანმა განაცხადა, რომ ეს მხოლოდ მუსულმანებს არ ეხებათ და ქრისტიანების პრობლემაც არის. ვინ შეიძლება ტრამპის ამ განცხადებას დაეთანხმოს?

— რთული სათქმელია, ამ ეტაპზე ტრამპს რომელმა ევროპელმა ლიდერებმა შეიძლება მხარი დაუჭირონ. უბრალოდ არ არსებობს საერთაშორისო სამართალი, რომლის მიხედვითაც შესაძლოა, განსაზღვრული იყოს, რამდენიმე სახელმწიფომ უნდა დაადასტუროს, რომ იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად იყოს აღიარებული.

ქალაქად იყოს აღიარებული. მოგეხსენებათ, რომ ქვეყნების ნაწილსაც შეუძლია, რომ სადავო ტერიტორიები სახელმწიფო აღიაროს. ამის მაგალითები კოსოვო და აფხაზეთია. ახლა დიდი მნიშვნელობა ექნება, ახლო აღმოსავლეთში სიტუაცია როგორ განვითარდება. ამ განცხადებების საფუძველზე არ არის გამორიცხული, რომ კონფლიქტის კიდევ უფრო გამწვავება მოხდეს და ეს კიდევ ერთი ნაბიჯი აფეთქების საფუძველი გახდეს. მართალია ე.წ. „ისლამური

სახელმწიფო“ პოზიციებს კარგავს, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ სიტუაცია არ შეიცვლება. ბოლო დღეების განმავლობაში ტრამპს არაერთმა დასავლელმა ლიდერმა მოუწოდა, რომ ამ განცხადების გაკეთებისგან თავი შეეკავებინა, მაგრამ მან ეს ნაბიჯი გადადგა. შესაბამისად, უნდა ველოდეთ, რომ ამას მწვავე რეაქცია მოჰყვება.

— საქართველომ ამ შემთხვევაში რა პოზიცია უნდა დაიკავოს? ფაქტია, რომ სიტუაცია გართულდება. ჩვენი ქვეყნისთვის, როგორც თურქეთი, ასევე ამერიკა სტრატეგიული პარტნიორია...

— საქართველომ ახლა რაიმე კონკრეტული განცხადებებისგან თავი უნდა შეიკავოს. ჯერჯერობით უნდა დაველოდოთ საერთაშორისო საზოგადოების რეაქციას. ერთადერთი, საქართველომ რაც უნდა თქვას, მან კიდევ ერთხელ უნდა დააფიქსიროს მოსაზრება, რომ რეგიონში არსებული კონფლიქტის დარეგულირება დიალოგისა და სამშვიდობო ფორმატში მოხდება.

ამ საკითხთან მიმართებაში საქართველომ რაიმე ემოციური განცხადებები არ უნდა გააკეთოს. ჩვენი ძველი პოლიტიკაა, თუ საკითხი არსებობს, მისი დასაგეგმავი და მათ შორის, თურქეთი, ჩვენი მნიშვნელოვანი პარტნიორია. ამიტომ ყველა განცხადებას საკმაოდ მოუხმობი უნდა იყოს. ისრაელთან და ებრაელ ხალხთან მრავალსაუბროსი ურთიერთობა გვაკავშირებს და ამიტომ ყველა მიმართულებით კეთილგონიერება უნდა გამოვიჩინოთ.

ელზა ჯაბოშვილი

# სააკაშვილი, რომელსაც მტკიცედ პოლიტიკური ჩვენება არ გააჩნია, სადაც კი გამოჩნდება, ყველგან უნუსრილობას და ქაოსს იწვევს

— იმე ჯერ საქართველოს პრეზიდენტი იყო, შემდეგ ოდესის ოლქის გუბერნატორი. მიხეილ სააკაშვილი, რომელზედაც დიდ პოლიტიკურ იმედებს აწყობდნენ, ხელს ართმევდა ხოლმე ბარაკ ობამას და ანგელა მერკელს. როგორ მოხდა, რომ მიხეილ სააკაშვილს ამჟამად არცერთი ქვეყნის მოქალაქეობა არ აქვს და უკრაინის სპეცსამსახურებს გაუარბის? — აღნიშნავს ჟურნალისტი გერჰარდ გნაუკი და მოკლედ აღწერს კიევში მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებულ ამბებს — უშიშროების სამსახურისა და გენპროკურატურის მიერ ერთობლივად ჩატარებულ ოპერაციას მიხეილ სააკაშვილის დაკავების მიზნით, რაც, საბოლოო ჯამში, მარცხით დასრულდა. სტატიის მიზანია აგრეთვე მიხეილ სააკაშვილის მიმართ წაყენებულ ბრალდებებზე და ა.შ.

ფოტოსურათი არ აქვს გადაღებული — იმდროინდელი ფინანსურ მაგნატ დონალდ ტრამპიდან და დიდი ბრიტანეთის დედოფლიდან დაწყებული, დამთავრებული ტონი ბლერი, ჰილარი კლინტონი, ბარაკ ობამა და ვლადიმერ პუტინი.



კიევში, მაიდანზე მომხდარი რევოლუციის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი თავი-ფოტოსურათი არ აქვს გადაღებული — იმდროინდელი ფინანსურ მაგნატ დონალდ ტრამპიდან და დიდი ბრიტანეთის დედოფლიდან დაწყებული, დამთავრებული ტონი ბლერი, ჰილარი კლინტონი, ბარაკ ობამა და ვლადიმერ პუტინი.

სი სტუდენტობისდროინდელი მეგობრის პეტრო პოროშენკოს „განკარგულებაში გადავიდა“ და როგორც ყველა უცხოელმა, რომლებიც ახალ ხელისუფლებაში თანამდებობებზე დაინიშნენ, მანაც უკრაინის მოქალაქეობა მიიღო. პეტრო პოროშენკომ მიხეილ სააკაშვილს კორუფციით განამბეული ოდესის ოლქის გუბერნატორის პოსტი ჩააბარა... მაგრამ არ გასულა ერთი წელიც, იგი გადადგა, შექმნა პარტია და ყოფილ თანამებრძოლებს მძაფრი კრიტიკა დაუწყო: „თქვენ კორუფცი-

ის ხელშემწყობები და მფარველები ხართ“.

განაცხებულმა პეტრო პოროშენკომ მიხეილ სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა ჩამოართვა. ექსპრეზიდენტს არც ქართული პასპორტი არ ჰქონდა, რადგან საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის დროს მიხეილ სააკაშვილმა ამ დოკუმენტზე უარი განაცხადა. საქართველოს სამართალდამცველებმა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და საბიუჯეტო თანხების განიავების გამო. დღეს მიხეილ სააკაშვილი ორ სკამს შორის ზის, მას არ აქვს მოქალაქეობა, არის რისკი მისი დემორტაციის თაობაზეც. იგი თავისი არსებობისთვის იბრძვის.

მიუხედავად იმისა, რომ მომხრეთა მეშვეობით მიხეილ სააკაშვილმა „ავტოტყვეობას“ თავი დააღწია და პარლამენტთან მიტინგი გამართა, მის გვერდით სცენაზე არცერთი ცნობილი პოლიტიკოსი არ იდგა. მოკლედ, მიხეილ სააკაშვილმა ისევ მოახერხა საკუთარი თავის ირგვლივ პოლიტიკური ალიაქციის გამოწვევა, მაგრამ იმავდროულად მი-

სი სახელი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში პრაქტიკულად არსად ფიგურირებს.

რუსეთის ხელისუფლება, 2008 წლის აგვისტოს ომიდან მოყოლებული, მიხეილ სააკაშვილში თავის დაუძინებელ მტერს ხედავს, მაგრამ იმავდროს მოსკოვს სიამოვნებს, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტი უკრაინაში სიტუაციის დესტაბილიზებას ასდენს, — ნათქვამია პუბლიკაციაში.

„Die Welt“ (გერმანია)



## საგარეო საქმეთა სამინისტრო ისრაელის დედაქალაქის საკითხზე

„საბარტოველო მხარს უჭერს საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევას, რათა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდეს, — ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, რომლითაც სამინისტრო იერუსალიმის თაობაზე საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის, აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებას ეხმიანება.

„ჩვენ ყურადღებით გაცვენით საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის, აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებას იერუსალიმის თაობაზე. ასევე ინფორმაციას, რომ ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნული საკითხის ფართო საერთაშორისო განხილვა, მათ შორის გაეროშიც.

საქართველო მხარს უჭერს საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევას, რათა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოგვარება მოხდეს მშვიდობიანად, დიალოგით მიღწეული შეთანხმების საფუძველზე. ამის გათვალისწინებით, ჩვენ ვაკვირდებით მოვლენების შემდგომ განვითარებას და გავაგრძელებთ კონსულტაციებს პარტნიორებთან, — ნათქვამია განცხადებაში.





2017 წლის 1-2 დეკემბერს, ქ. თბილისში, სასტუმრო „პოლიდეი ინის“ საკონფერენციო დარბაზში, ჩატარდა საქართველოს უროლოგთა ასოციაციისა და ევროპის უროლოგიის სკოლის ერთობლივი, ყოველწლიური კონგრესი. აღნიშნული კონგრესის მიზანია უროლოგიური დაავადებების მართვის თანამედროვე, ევროპული პრინციპების გაცნობა და ქართველი უროლოგების ცოდნის დონის ამაღლება. კონგრესი შესავალი სიტყვით გახსნეს და დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ საქართველოს უროლოგთა ასოციაციის გენერალური მდივანი, პროფესორი არჩილ ჩხოტუა და უროლოგთა ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი, აკადემიკოსი ლაურ მანაგაძე.

კონგრესის ძირითადი თემატიკა გახლდათ „ონკოუროლოგიური დაავადებების მულტიდისციპლინარული მართვა“. ღონისძიება გამოირჩეოდა უპრეცედენტო ინტრა და ინტერინსტიტუციონალური თანამშრომლობით. მასში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოში მოღვაწე უროლოგები, ონკოლოგები, რადიაციული ონკოლოგები და რადიოლოგები საქართველოს 20 დიდი სამედიცინო დაწესებულებიდან.

ორდღიანი სამეცნიერო ღონისძიების ფარგლებში განხილული და გაანალიზებული იყო თანამედროვე უროლოგიის უმნიშვნელოვანესი პრობლემები, როგორცაა: პროსტატის, შარდის ბუშტისა და თირკმლის კიბო, პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია, შარდ-კენჭოვანი დაავადება, ქალთა უროლოგია, ანდროლოგია და რეკონსტრუქციული უროლოგია.

# უროლოგთა ასოციაციის კონგრესი



ღონისძიება ჩატარდა ევროპის უროლოგთა ასოციაციის ეგიდით და მასზე მონაწილეები იყვნენ უროლოგიისა და ონკოუროლოგიის მსოფლიო დონის ექსპერტები გერმანიიდან, ავსტრიიდან, ჩეხეთიდან, იტალიიდან, რუსეთიდან და დიდი ბრიტანეთიდან. კონგრესის ფარგლებში დაგეგმილი იყო ევროპის უროლოგიის სკოლის სესიის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც, ევროპის უროლოგთა ასოციაციის ექსპერტები წაიკითხავენ ლექციებს ონკოუროლოგიის ყველაზე აქტუალურ პრობლემებზე.

კონგრესს ძალიან დიდი საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ექიმებისათვის. მასზე მოსმენილი იყო მოსხენებები პრაქტიკულად ყველა, მეტ-ნაკლებად დიდი, საქართველოში მოქმედი, უროლოგიური და ონკოლოგიური კლინიკებიდან.

ამ კონგრესმა დაასაბუთა და ხაზი გაუსვა საქართველოს, როგორც კავკასიის ცენტრალური აზიის რეგიონის ლიდერს უროლოგიასა და მის მომხმარებელ სპეციალობებში, კერძოდ: ონკოლოგია, რადიოლოგია, რადიაციული ონკოლოგია და სხვა.

ღონისძიებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში უროლოგიის, ონკოლოგიისა და რადიოლოგიის განვითარებისათვის. მსგავსი ფორმატის სამეცნიერო ღონისძიება უროლოგიასა და ონკოლოგიაში პირველად იგეგმება საქართველოში და იგი დასაბამს მისცემს ყველაზე თანამედროვე, ე.წ. მულტიდისციპლინარულ მიდგომას მედიცინასა და კონკრეტულად ონკოლოგიაში. ამის შედეგად, ქართველი პაციენტები მიიღებენ ყველაზე თანამედროვე, საერთაშორისო გაიდლაინებზე დამყარებულ სამედიცინო სერვისს, რაც მათი ჯანმრთელობისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია. პროგრამის მსგავსი მრავალფეროვნება გარანტიანა იმისა, რომ სამეცნიერო ღონისძიება იქნება საინტერესო, ინფორმაციული და ნაყოფიერი. მსმენელები მიიღებენ მრავალფეროვანი ტიპის ინფორმაციას როგორც თეორიულს, ისე პრაქტიკულსა და ვიზუალურს (ოპერაციები, დიაგნოსტიკური მანიპულაციები და სხვა), რაც უზრუნველყოფს მინოდებული ინფორმაციის მაქსიმალურ აღქმადობას.

კონგრესიცია ფართოდ გაშუქდა მედია საშუალებებით. მისი მიმდინარეობა, ძირითადი მოსხენებები დაიწყო საქართველოს უროლოგთა ასოციაციის ფეისბუქ გვერდზე.

აღნიშნული ღონისძიების ჩატარება უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული უროლოგიისთვის, ონკოლოგიისა და მედიცინისთვის, ზოგადად.

**ნათია ვადაჭკორია,**  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი

## საქართველოში დასაქმებული ქალები, კასხბთან შედარებით, 35%-ით ნაკლებ ხელფასს იღებენ

საბარტოველოში 40 %-ზე მეტი ქალი ეკონომიკურად არააქტიურია, დასაქმებული ქალები კი კაცებთან შედარებით, 35%-ით ნაკლებ ხელფასს იღებენ.

კვლევის, „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში“ თანახმად, ქალები არასაკმარისად არიან დასაქმებული ფორმალურ ეკონომიკაში.

„დაახლოებით 40%-ით ნაკლებია ქალების რიცხვი მამაკაცებთან შედარებით, ქალების ხელფასი კი 35%-ით დაბალია, ვიდრე მამაკაცების. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტების დაახლოებით 11%-ია, რომელსაც საქართველო კარგავს. ჩვენი რეკომენდაციაა, გაძლიერდეს თანამშრომლობა მთავრობას, არასამთავრობო სექტორსა და ბიზნესს შორის არსებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად. ეს მოხდება საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით იმისთვის, რომ საქართველო შეიმუშავოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“, – განაცხადა შომბი შარპმა.



### წყნეთში სასოფროკომპლექსის აშენება

შაპის რაიონის გამგეობის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, წყნეთში აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრება მიმდინარეობს.

მერიის ინფორმაციით, გაგრის III ნიხის VII კორპუსში (ყოფილი გურამიშვილის ქუჩა) სამუშაოები უახლოეს მომავალში დასრულდება. პროექტის ფარგლებში, სახლის საძირკველი და კედლები გამაგრდა, არსებული ბზარები ამოივსო, კედლები ქვიშა-ცემენტის სხნარით შეიღესა და მოეწყო სანი-აღვრე არხი.

წყნეთში მიმდინარე სამუშაოებს ვაკის რაიონის გამგებელი ნოდარ ტურძელაძე და ვაკის მაჟორიტარი დეპუტატი საკრებულოში გიორგი მუსხელიშვილი გაეცნენ.

სახლის გასამაგრებლად, გამგეობის ბიუჯეტიდან 43 825 ლარი გამოიყო. მიმდინარე წელს, წყნეთში კაპიტალურად კიდევ ორი სახლი გამაგრდა. ორივე პროექტის ღირებულებამ 82 357 ლარი შეადგინა.



### რა დღეშიც ვართ

## საქართველოში უკეთესი ვისთვის?

**გაეროს ჯინის ინდექსის მიხედვით, საქართველო სოციალური უთანასწორობის მხრივ ყოფილი საუკეთესო კავშირის ქვეყნებში ლიდერია**

ბასულ კვირას პარლამენტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას, აშუაბად უკვე სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ ქვეყანაში სოციალური უთანაბრობის საკითხზე გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის სოციალური უთანასწორობის მაჩვენებელი საქართველო ლიდერობს.


სოციალური უთანასწორობის ერთ-ერთი სტატისტიკური საზომი არის ჯინის ინდექსი, რომელიც ქვეყანაში მოსახლეობას შორის შემოსავლების გადანაწილების დონეს ზომავს. ჯინის კოეფიციენტი 0-დან 1-მდე მერყეობს: თუ ჯინის კოეფიციენტი 1-თან ახლოსაა, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში მოსახლეობას შორის შემოსავლების გადანაწილების მიხედვით უთანასწორობა მაღალია, ხოლო კოეფიციენტის დაბალი მნიშვნელობა მიუთითებს, რომ ქვეყანაში შემოსავლები შედარებით თანაბრად არის გადანაწილებული.

აღსანიშნავია, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისთვის, ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონის შესაბამისად, დამახასიათებელია შემოსავლების არათანაბარი გადანაწილება, რასაც სოციალური უთანასწორობის ინდექსის სხვადასხვა მნიშვნელობა შეესაბამება. როგორც წესი, მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის სოციალური უთანასწორობის ინდექსი გაცილებით დაბალია, ხოლო განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის – მაღალი. გაეროს მონაცემებით, ყველაზე დაბალი ჯინის კოეფიციენტი სკანდინავიის ქვეყნებისთვისაა (ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, დანია, ისლანდია) დამახასიათებელი.

საქართველოში ჯინის კოეფიციენტი შედარებით მაღალია, თუმცა, წლების განმავლობაში, ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, ის შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში სოციალური უთანასწორობის ინდექსი 2011-2015 წლებში უმნიშვნელოდ მცირდებოდა, 2016 წელს კი, სულაც, 0,01 პუნქტით გაიზარდა.

### ჯინის კოეფიციენტი საქართველოსთვის


ჯინის ინდექსი ზომავს შემოსავლების გადანაწილებას მოსახლეობას შორის და არა მოსახლეობის შემოსავლების ზრდას. შესაძლებელია ინდექსის კლებადობა მოსახლეობის მდიდარი ნაწილის გაღარიბებით და ამავდროულად ღარიბი ნაწილის შემოსავლების ზრდით იყოს გამოწვეული. მაგალითისთვის, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში შემოსავლები თანაბრად იყო განაწილებული, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა და ცხოვრების დონე მაღალი იყო.



### ჯინის კოეფიციენტი უთანასწორობის მხრივ

გაეროს მონაცემებით, საქართველოს, რუსეთის ფედერაციის შემდეგ, ყოფილი საბჭოთა ქვეყნებს შორის ჯინის ყველაზე მაღალი კოეფიციენტი აქვს, რაც ნიშნავს, რომ სოციალური უთანასწორობა გაცილებით მაღალია.

factcheck.ge



51-ე სკოლის წინ ახლა ორი დაფა დგას, თანაგრძობის გამოხატველი წარწერების-თვის. ერთი წარწერა რჩევასაც გულისხმობს: „შვილებო, ტელევიზორში სისხლიან გადაცემებს ნუ უყურებთ.“

მაგრამ სანაცვლოდ რას ვთავაზობთ ჩვენს შვილებს? რა ნახონ? რა ნაიკითხონ? რა და ზღაპრები. ზღაპრები, რომელთაც განათლების ყოფილი მინისტრი ასე არ სწყალობდა. მათ შორის, ის ზღაპრები, დღეს რომ

# რა შეუძლია ზღაპარს?

ინერტია. დიას, ინერტია. სად ცხოვრობს კეთილი მებღაპრე? – საინტერესოა, რამდენმა თბილისელმა მოზარდმა იცის, რომ ის სწორედ ჩვენს ქალაქში ცხოვრობს და მისი სახელი და გვარი გურამ პეტრიაშვილია?

ალბათ, ძალიან ცოტამ და ეს ჩვენი, უფროსების დანაშაულია, ცხადია, სკოლის დანაშაულიც. ფაქტია, რომ გადარჩენის გზა მოსაძებნი და ის ყველამ ერთად უნდა ვეძებოთ – ვედაგოგებმა, მწერლებმა, ჟურნალისტებმა... სწორედ უნდა შევახვედროთ მოსწავლე-

ები მწერლებს. ოღონდ, მწერალსაც შერჩევა უნდა. ვინ იცის, იმ დღეს რომ გურამ პეტრიაშვილი 51-ე ან პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში მისულიყო და იმ ბიჭებისთვის ეს ზღაპარი წაეკითხა, შემდეგ კი მათთან ესაუბრა, ტრაგედია აღარც კი მომხდარიყო. ლიტერატურას დიდი ძალა აქვს. მწერალს ბევრი შეუძლია. ზღაპარსაც. ნაიკითხეთ, და მჯერა, დამეთანხმებით. **იოსებ ჭუმბურიძე**

გაზაფხულის დღე იყო. აყვავებული იასამნების ხეივანში მივიღოდი. ცოტა ხნის წინათ ერთი საყვარელი პოეტის ლექსებს ვკითხულობდი და არ გამემტყუებდა, თუ კარგ გუნებზე ვიყავი. ჰოდა, მივიღივარ ხეივანში და მივიღივარ. მივიღივარ და შევამჩნიე, რომ უმზაროდ კი არ მივიღივარ, არამედ მივიხტივარ. მივიხტივარ და უცებ ერთი მხიარული ლექსი ამეკვიტა. აი, ის ლექსი:

არავისი მეშინია, არც ვინმესი მხეხათრება, აბა, ჩემი რა ბრალია, თუ ბავშვობა მენატრება? მენატრება, მენატრებააა... ეს უკვე კი არ დავიღივინე, ძალიან ხმამაღლა დავიმღერე.

და ერთ ადგილას გავეშვიდი. რაც გინდა, თქვი, უცნაური და უხერხულია, თუ ვინმემ დამინახა, როგორ ვყვირი თეთრწვერა კაცი, მენატრება, მენატრებაო... მივიხტივარ-მოვიხტივარ. სამედიცინო, მართლ ვიყავი ხეივანში.

და ვიდექი ასფალტზე ცარცით დახაზულ უჯრებში, კლასობანას სათამაშოდ. კიდევ ერთხელ საკმაოდ ხმამაღლა დავიღივინე „მენატრება, მენატრებააა“ და უჯრებში ასკინვილით დავიწყებტუნე, როგორც შორეულ ბავშვობაში. და იმავე წამს ჩემ ირგვლივ უამრავი უცნაური პეპელა გაჩნდა.

აბა, აბა, ჩვეულებრივი ფერად-ფერადი პეპლები იყვნენ, ოღონდ მათი უჩვეულობა ის იყო, რომ ნაირფერად ელაგდნენ. მთავარი უცნაურობა კი ის იყო, რომ თუმცა პეპლებს ალი ეკიდათ, ის ალი მათ არა სწვავდა.

გახანებულმა ვუმატე ასკინვილით ხტუნვას, თუმცა ეს ადვილი არ იყო ჩემს ასაკში. ცოტა ხანში შევამჩნიე, აღმოდებული პეპლები, ხეივნის გადაღმა რომ მდებარეობდნენ, იქით მებრძობდნენ.

ვიფიქრე, კარგო პეპლებო, მოგყვებით, საითაც მიყავართ-მეთქი, დავდგი მიწაზე მეორე ფეხიც და მოვიმზადე იქით წასასვლელად... და იმავე წამს გაქრნენ პეპლები.

გამეღიმა, რადგან მივეხდი, რომ პეპლებს მე მხოლოდ მოასკინვილე ვუნდოდი. მართლაც, როგორც კი ავსკინვილავდი, ჩემ ირგვლივ კვლავ გაჩნდნენ პეპლები და გამიძღვნენ მდებარე ბოლოსკენ...

მივიხტივარ ცალ ფეხზე და ვხედავ, რომ უკვე აღარა ვართ ქალაქში. ირგვლივ ჩემი ბავშვობის სოფელია. აი, ეს პატარა, ერთსართულიანი სახლი კი... დიას, ეს სახლია იმ მანანასი, მე რომ პირველკლასელს სულს მიფორიაქებდა. ჩემი პირველკლასელობა რომ გავიხსენე, ასკინვილობა



# ალმოდებული პეპლები

არ შემიწყვეტია, ისე დავიხდე საკუთარ სხეულზე. დიას, სწორად მიხვდით, უკვე პირველკლასელი ვიყავი. შევსკინვილავდი ეზოში, მივიხტივდი იმ პატარა სახლთან და, როგორც შორეულ ბავშვობაში, ალუბლის ხის ქვეშ იმ ბალახებს ვემთხვიე, სადაც ერთხელ მანანა იჯდა. მერე კი სახლის ღია ფანჯარასთან მივიხტივდი, შევიხდე და ის დავინახე, რისი დანახვაც ყველაზე მეტად გამახარებდა:

მანანას თვალეზი! თვალეზი გამჩნევილები მიცქერდნენ. მერე ისიც დავინახე, რომ მანანა საწოლში იწვა და საწოლის გარშემო და მიუღო თათხმაც აღმოდებული პეპლები ფარფატებდნენ.

გამიკვირდა, თუ დღისით რატომ იყო მანანა საწოლში. და გამახსენდა, რომ ერთი კვირის წინათ ძალიან იღრძო ფეხი და ექიმმა ურჩია, სკოლს ლოგინში იწვე და გავლა თუკი დაგჭირდებოდა, ყავარჩნებით იარე და ნატკენ ფეხს მიწაზე ნუ დაადგამო.

– გურამ! – გახანებულმა ჩამოიძახა მანანამ, ლოგინიდან ჩამოხტა, იქვე მიყუდებული ყავარჩნები იღლიაში ამოიღო და სასწრაფოდ გამოვარდა სახლიდან. რამდენადაც ყავარჩნებით შეეძლო, სწრაფად მოვარდა ჩემთანაც და გაჩერდა, თითქოს აღარ იცოდა, თუ მერე

რა უნდა ექნა. ერთ წამს ამათვალისწინებდა და ასკინვილობისთვის გამზადებული, მუხლში მოხრილი ჩემი ფეხი რომ შეამჩნია, მკითხა:

– შენც იღრძე ფეხი? – ჰო, – ვუთხარი და უხერხულობის დასაფარავად ესლა მოვიფიქრე – მოდი, წავიდეთ... – სად? – ჯერ არ ვიცი, წავიდეთ... – კარგი, – დამეთანხმა იგი. მერე კი უცებ გამიღიმა და მითხნა: – იცი რა, გურამ, მოდი მეც ასკინვილობით წამოვალ, კარგი?

– ეგ კარგად მოიფიქრე, – ვუთხარი მე და ხელი გავუქოდი. მანანამ ყავარჩნები აქეთ-იქით გადაყარა და ჩემს გაწვილი ხელს თავისი შეაგება. მივიხტივდი ხელჩაკიდებულები და წინ აღმოდებული პეპლების კორიანტელი მივიძღვებოდა.

მივიხტივდი... აღმოდებული პეპლების რიცხვი მატულობდა. ჯერ ჩუმად მივიხტივდი. მერე ის ალაპარაკდა. პატარა გოგონას რა გამოუღვეს სალაპარაკოს. ლაპარაკობდა, უფრო სწორად, საყვარლად ტიკტიკებდა.

აღარ მახსოვს, თუ რას მეუბნებოდა. მერე გამაჩერა და თვითონაც გაჩერდა. აღმოდებულ პეპლებს შესცქეროდა. პეპლებს ახლა მთლად შევესოთ ცასა და მიწას შორის სივრცე პორიზონტამდე.

– ეს პეპლები ხომ შენ მოიყვანე? – მკითხა მანანამ. მართლაც ასე იყო და დავეთანხმე. – ჰო.

– ვაშაა! – მოზვიმედ გასძახა მანანამ პეპლებს, უცებ ჩამეხტა და ხელები მომაჭრა კისერზე. მერე კი მთავარი მოხდა: მანანამ სახე ჩემსას მოუახლოვა და ნაზად მაკოცა ტუჩების კუთხეში. და იმ წამს გაქრა ყველაფერი: ცა, მიწა, აღმოდებული პეპლებიც და თვით მანანაც.

და დამჩნა მხოლოდ ორი ფიქრი. პირველი იმაზე, რომ არ ვიცოდი, თუ ამქვეყნად შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი კოცნა: თან ამგვარად ჰაეროვანი და თან ამგვარად მწველი.

მეორე კი იმაზე, რომ აღმოდებულმა პეპლებმა სწორედ ამ კოცნისათვის ჩამომიყვანეს შორეულ ბავშვობაში... როცა გამოვფხიზლდი, უკვე ჩემს ახლანდელ ბინაში ვიყავი.

სავარძელში ვიჯექი, მუხლზე მედლო სუფთა ფურცლების დასტა. ხელში კალმისტარი მეჭირა და ფურცელზე იმ მხიარული ლექსის ბოლო სტრიქონებსა ვწერდი: აბა, ჩემი რა ბრალია, თუ ბავშვობა მენატრება? მენატრება, მენატრებააა... **გურამ პეტრიაშვილი**



## © ექსპო ჯორჯია

ერთგვარად ორ გამოფენას მასპინძლობდა ამ დღეებში დედაქალაქის საგამოფენო ცენტრი „ექსპო ჯორჯია“. ცნობილი მე-11 პავილიონის სივრცეში უკვე მეოთხედ მოეწყო „ელკომ კაუკაზუს – 2017“ და „აკვა თერმ თბილისი – 2017“ ექსპოზიციები. Elcom Caucasus – 2017 და Aqua Therm Tbilisi – 2017 გამოფენებზე წარმოდგენილი იყო რვა ქვეყნის, მათ შორის გერმანიის, ჩეხეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, ირანისა და საქართველოს 26

# ალტერნატიული ენერჯეტიკის ჰორიზონტები

კომპანიის ენერჯეტიკული და თერმული მოწყობილობები. აღნიშნულ გამოფენათა მიზანი საქართველოში უახლესი ტექნოლოგი-

ების დანერგვა, სამამულო მენარმეთათვის მოწინავე საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, ინვესტორთა მოზიდვა იყო. პარალელურად მოეწყო კონფერენცია თემაზე „განახლება და ალტერნატიული ენერჯეტიკა – 2017“, რომელშიც მონაწილეობა ორ ათეულამდე სამამულო და უცხოელმა სპეციალისტმა მიიღო. **დავით ხუნდაძე, ელბუჯა ნაწარმიშვილის ფოტო.**









	<p>მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისგან;</p> <p>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განხორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუმუშავოს მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;</p> <p>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოწყობილი იქნას, რომ დანიტრესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;</p> <p>ე) ლუქის დადება და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;</p> <p>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწყობა.</p> <p>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა
8	აუქციონის საწყისი ფასი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა
14	სხვა მონაცემები
<b>ობიექტი № 5</b>	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	
1	საიდენტიფიკაციო ნომერი
2	მისამართი/ტელეფონი
3	ელ-ფოსტა
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე
5	<p>ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.</p> <p>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს შემდგომში ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით.</p> <p>გ) აკრძალულია ბურღვა-ავეთქებითი მეთოდის გამოყენება სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად.</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასოფლო გზების დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მათი აღდგენა-რეაბილიტაცია.</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელი შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.</p> <p>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს</p>

	<p>დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა
8	აუქციონის საწყისი ფასი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა
14	სხვა მონაცემები
<b>ობიექტი № 6</b>	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	
1	საიდენტიფიკაციო ნომერი
2	მისამართი/ტელეფონი
3	ელ-ფოსტა
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე
5	<p>სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია</p> <p>ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.</p> <p>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა
8	აუქციონის საწყისი ფასი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა







Table with 14 rows and 2 columns: Item No. and Description. Items include 'უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა', 'აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწესების და დასრულების დრო და თარიღი', and 'სხვა მონაცემები'.

მეგობრობის შენახვისთვის ხიფათი

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი თანამედროვე სომხური მუსიკის დღეებს უმასპინძლებს



საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის და პირადად მისი თავმჯდომარის, კომპოზიტორ გიორგი შავერზაშვილის ინიციატივით, სომხეთის კომპოზიტორთა კავშირთან თანამშრომლობით თბილისში 10-11 დეკემბერს თანამედროვე სომხური მუსიკის დღეებს უმასპინძლებს.

თანაორგანიზატორის, თანამედროვე გომის როლში მოველინა საზოგადოებრიობას, ასეთ ლონისძიებათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის სულხან ნახიძის 90 წლისთავსადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტი, რომელიც ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გაიმართა; კომპოზიტორ გიორგი ჩლაიძის ახალი ნაწარმოების „თბილისური რაფსოდია“ საპრემიერო ციკო კონცერტების ციკლი კავშირის საკონცერტო დარბაზში, გორისა და ქუთაისის სამუსიკო სასწავლებლებში ალექსანდრე (ლექსო) თორაძისა და გიორგი შავერზაშვილის შესრულებით; კომპოზიტორ ნუგზარ ვანაძის საიუბილეო ალბომისა და დისკის გამოცემა თბილისის მერიის მხარდაჭერით და ამ ნიგის პრემიერა კონცერტი კავშირის საკონცერტო დარბაზში; სიმბიანი და ჩასაბერი საკრავების პირველი საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი „რონდო-კლასიკა“; მულტიმედიატური ხელოვნების ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ“ კულტურათა დიპლომატა (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან, საქართველოს გაეროს ასოციაციასთან თანამშრომლობით). დეკემბრის ბოლომდე, ასევე, გაიმართება საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის მიერ ახალი საგუნდო ნაწარმოების შესაქმნელად (კავშირის წევრებისთვის) გამოცხადებული კონკურსი; ახალი ნილიდან კი დაგეგმილია საპრემიერო საკონცერტო ციკლის „ქართული მუსიკის სიხალისე“ გამართვა, რომლის მეოხებით მსმენელს საშუალება მიეცემა გაეცნოს ქართველ კომპოზიტორთა კამერული ჟანრის ახალ ნაწარმოებებს.

თანამედროვე სომხური მუსიკის დღეების ეგიდით ორი კონცერტი გაიმართება - 10 დეკემბერს თბილისის არამ ხაჩატურიანის სახელობის ხელოვნების მე-10 სკოლაში, მთავარ კონცერტს კი 11 დეკემბერს 18 საათზე საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის საკონცერტო დარბაზში (დავით აღმაშენებლის გამზ. №123) უმასპინძლებს. კონცერტების პროგრამა მრავალფეროვანია - აჟღერდება ჯენი ასატრიანის, რობერტ ატიანის, ვაჰრამ შაბაიანის, დავიდ ბალახანის, ნარინე ზარიფიანის, ედმონდ მაკარიანის, ჰოვანეს მანუჩიანის, კონსტანტინე პეტროსიანის, არამ სატიანის, აზოტ ზარბიანის, ვაჩე შარაფიანის, ლევონ ჩაუშანიანის, გაგიკ ჰოვუნციის კამერული ნაწარმოებები. თანამედროვე სომხურ კამერულ მუსიკას შეასრულებენ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, თბილისის „ნიჭიერთა ათნალების“ მოსწავლეები.

15 ნელინაზე მეტია, რაც ჩვენს ქვეყანაში მსგავსი ფორუმი არ გამართულა, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ახალი ხელმძღვანელობისთვის კი ეს პირველი საერთაშორისო პროექტია. საგულისხმოა, რომ ბოლო სამი თვის მანძილზე საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიების

ლია საპრემიერო საკონცერტო ციკლის „ქართული მუსიკის სიხალისე“ გამართვა, რომლის მეოხებით მსმენელს საშუალება მიეცემა გაეცნოს ქართველ კომპოზიტორთა კამერული ჟანრის ახალ ნაწარმოებებს.

ფურცა იიაშვილი.

10-11 DECEMBER 2017. თანამედროვე სომხური მუსიკის დღეები. ARMEAN CONTEMPORARY MUSIC DAYS IN GEORGIA. 10/12/2017 16:00. 11/12/2017 18:00.

აჭარულ სამზარეულოს „ბელარუს 1“ გაღობვა მიუქვნი

ბელარუსში წამყვანი ტელეკომპანია „ბელარუს 1“ აჭარულ სამზარეულოსა და ტურისტულ პოტენციალს 4 გადაცემას მიუძღვნის. პოპულარული კულინარიული გადაცემა „50 რეცეპტის“ სპეციალური გამოშვებების ჩანერა რეგიონში რამდენიმე დღეა მიმდინარეობს. ყველა გადაცემა პოპულარულ აჭარულ კერძებს მიეძღვნება, რომლის დროსაც ქართული ტრადიციებისა და სტუმართმოყვარეობის შესახებ ისაუბრებენ.

დღეს გადაცემის ობიექტებში უკვე ბათუმის ტურისტული ღირსშესანიშნაობები, ბოტანიკური ბაღი და გონიო-ავსარო-სის ციხე-მუზეუმი მოექცევა. აჭარის შესახებ მომზადებულ გადაცემებს ბელარუსში 7 მილიონამდე მაყურებელი იანვრის განმავლობაში ნახავს.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა წელს 23 მედიატურს გაუწია ორგანიზება, რომლის ფარგლებშიც სამიზნე ქვეყნების პოპულარულ მედიასაშუალებებში 102 სტატია და რეპორტაჟი გამოქვეყნდა.





